კიბერუსაფრთხოების განვითარების სამოქმედო გეგმა

სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო

2016 - 2017

Cyber Security Development Action Plan

2016 - 2017

Ministry of Defence of Georgia

Cyber Security Bureau

სარჩევი

თავდაცვის სფეროში კიბერუსაფრთხოების განვითარების სამოქმედო გეგმა

თავი I

შესავალი

მუხლი 1.

,,თავდაცვის სფეროში კიბერუსაფრთხოების განვითარების სამოქმედო გეგმა'' (შემდეგში - სამოქმედო გეგმა) წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდეგში - სამინისტრო) სისტემაში მოქმედ სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს (შემდგომში - ბიურო) ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს 2016-2017 წლებისათვის კიბერთავდაცვითი შესაძლებლობების შექმნისა და განვითარების შესახებ, რომელშიც აღწერილია პოლიტიკაში გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად და დასახული მიზნების მისაღწევად საჭირო ქმედებები, რესურსები, მეთოდები და ვადები. სამოქმედო გეგმა ეფუძნება ისეთ სტრატეგიულ და კონცეპტუალურ დოკუმენტებს, როგორიცაა: „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“, „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010-2013 წწ. დოკუმენტი“, „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2013-2016 წწ.“, „საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიისა და საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის განხორციელების 2013-2015 წწ. სამოქმედო გეგმა“, „მინისტრის ხედვა 2013-2014“, „საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია“ და „მინისტრის ხედვა 2015-2016“. დოკუმენტი პერიოდულ შეფასება/განახლებას ექვემდებარება.

მუხლი 2.

კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა და აუცილებლობა ქვეყნის და გლობალურ უსაფრთხოებაში ყველა სახელმწიფოს მიერ იქნა აღიარებული. თითოეული ქვეყანა, რომელსაც ტექნოლოგიურად განვითარების სურვილი აქვს, ვალდებულია, დაიცვას საკუთარი კიბერსივრცე, უზრუნველყოს მისი უსაფრთხოება და დინამიკური განვითარება. ამავდროულად, ბიურო უზრუნველყოფს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც მიმართულია ინდივიდუალური და კოლექტიური უსაფრთხოების გასაძლიერებლად, იღებს პასუხისმგებლობას დაიცვას მოქალაქეების პირადი

ცხოვრების უფლებები და პირადი ინფორმაციის კონფედენციალურობა, სხვა ფუნდამენტალურ ღირებულებებთან ერთად.

მუხლი 3.

1. დღეისათვის მსოფლიო აქტიურად იყენებს კიბერსივრცეს პოლიტიკური, გეოპოლიტიკური, სამხედრო და სხვა მიზნების განსახორციელებლად. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ვითარდება ტექნოლოგიები, მით უფრო რთული ხდება კიბერსივრცეში არსებული საფრთხეების პრევენცია და დაძლევა. თანამედროვე კიბერშეტევები საფრთხეს უქმნიან ქვეყნის უსაფრთხოებას, განვითარებას და ხელს უშლიან საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებას. საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით წარმატებული კიბერინციდენტების რიცხვი ყოველწლიურად მატულობს და შესაბამისად იზრდება კიბერინციდენტებით გამოწვეული ზარალი. შესაბამისად, გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი სწორედ საკუთარი ქვეყნის კიბერთავდაცვაა. რუსეთის მხრიდან საქართველოზე უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა კიბერშეტევებმა ცხადყო, რომ კიბერსივრცის დაცვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო სივრცეებისა.

2. 2014 წლის სექტემბრის ნატოს უელსის სამიტზე კიბერუსაფრთხოება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად განისაზღვრა და აღინიშნა, რომ კიბერსივრცის დაცვა ნატოს ერთიანი თავდაცვის განუყოფელი ნაწილია. საქართველო უერთდება ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობასთან დაკავშირებულ მიდგომებს და აღიარებს, რომ კიბერსაფრთხეები გლობალური გამოწვევაა, რომელიც სცდება ეროვნულ საზღვრებს და თანამშრომლობის საერთაშორისო დონეზე გაძლიერებას საჭიროებს.

3. 2013 წელს საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის მხარდაჭერით სამინისტროს სამუშაო ჯგუფმა ესტონელი ექსპერტის მონაწილეობით შეისწავლა უწყებაში არსებული სიტუაცია კიბერუსაფრთხოების მიმართულებით. აღნიშნული ღონისძიების შედეგად გამოიკვეთა ძირითადი გამოწვევები და პრობლემები: საქართველოს თავდაცვის სფეროს არ გააჩნდა კიბერსივრცეში არსებული/წარმოქმნილი რისკების მართვის და საფრთხეების მონიტორინგის, ანალიზის, პრევენციის სათანადო საშუალებები და შესაძლებლობები. კვლევის შედეგად შეიქმნა დოკუმენტი „განვითარების გეგმა“ (“Roadmap”), რომელიც გარკვეულწილად, წინამდებარე დოკუმენტის საფუძველი გახდა.

მუხლი 4.

1. საქართველო კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს, რათა საკუთარი ინფორმაციული სისტემები შესაბამისობაში მოიყვანოს ISO 27000 სერიის საერთაშორისო სტანდარტებთან. ამით საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდება ევროკავშირსა და ნატოს, რომელთა ერთ-ერთი მოთხოვნა ინფორმაციული უსაფრთხოების განმტკიცება და სტანდარტიზაციაა.

2. საქართველოს თავდაცვის სფეროში კიბერუსაფრთხოების პოლიტიკას ახორციელებს ბიურო, რომელსაც „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აქვს ის ვალდებულებები და ამოცანები, რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფს თავდაცვის სფეროს ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების ერთიანი, ძლიერი და ეფექტური ინფრასტრუქტურის შექმნა/განვითარებას.

მუხლი 5.

სამოქმედო გეგმა შემუშავებულია ,,კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 4 ნოემბრის N MOD 7 14 00001575 ბრძანების საფუძველზე, რომელიც პასუხობს მსოფლიო გამოწვევებს კიბერუსაფრთხოების სფეროში და ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფარგლებში ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია.

თავი II

ტერმინთა განმარტება

მუხლი 6.

სამოქმედო გეგმაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **კიბერუსაფრთხოება** - ინფორმაციული და კომუნიკაციების სისტემების მდგომარეობა, რომელიც კიბერსივრცეში არსებული/წარმოქმნილი საფრთხეებისგან მონაცემთა კონფიდენციალურობის, მთლიანობის და ხელმისაწვდომობის დაცვის შესაძლებლობას იძლევა;

ბ) **ინფორმაციული უსაფრთხოება** - საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციისა და ინფორმაციული სისტემების კონფიდენციალურობის, ერთიანობის, წვდომის, ავთენტიფიკაციის და განგრძობადი მუშაობის დაცვას;

გ) კიბერსივრცე - სივრცე, რომლის განმასხვავებელი ნიშანია ელექტრონული მოწყობილობებისა და ელექტრომაგნიტური სპექტრის გამოყენება ქსელით დაკავშირებული სისტემებისა და დამხმარე ფიზიკური ინფრასტრუქტურის მეშვეობით მონაცემთა შენახვის, შეცვლის ან გაცვლისთვის; პროგრამული უზრუნველყოფის, ტექნიკური საშუალებების და მათი ურთიერთკავშირის საშუალებით შექმნილი ვირტუალური სივრცე;

დ) კიბერინციდენტი - კიბერუსაფრთხოების ინციდენტი, რომლის დროსაც ინფორმაციული სისტემების კონფიდენციალურობის, ხელმისაწვდომობის და მთლიანობის ხელყოფა ხდება;

ე) ინფორმაციული სისტემა - ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ამ ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებული ქმედებების ნებისმიერი კომბინაცია, რომელიც ხელს უწყობს მართვას ან/და გადაწყვეტილების მიღებას;

ვ) კრიტიკული ინფორმაციული სისტემა - ინფორმაციული სისტემა, რომლის უწყვეტი ფუნქციონირება მნიშვნელოვანია ქვეყნის თავდაცვისათვის ან/და ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის, სახელმწიფო ხელისუფლების ან/და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის;

ზ) კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი - სახელმწიფო ორგანო ან იურიდიული პირი, რომლის ინფორმაციული სისტემის უწყვეტი ფუნქციონირება მნიშვნელოვანია ქვეყნის თავდაცვის ან/და ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის, სახელმწიფო ხელისუფლების ან/და საზოგადოებრივი ცხოვრების შენარჩუნებისათვის;

თ) ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების უსაფრთხოება-იმ ელექტრონული და ინფორმაციული ქსელებისა და სისტემების დაცულობა, რომლებიც ერთმანეთთან კომუნიკაციასა და მონაცემთა დამუშავებას ან გენერირებას ახდენენ;

ი) ინფრასტრუქტურა - ძირითადი სტრუქტურები და სისტემები (ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ ქმედებებთან დაკავშირებული ტექნიკური აღჭურვილობისა და მოწყობილობების ერთობლიობა), რომლებიც საჭიროა ორგანიზაციების ფუნქციონირებისთვის;

კ) კიბერთავდაცვა - საკუთარი კიბერსივრცის დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების და საშუალებების ერთობლიობა, რომელიც სამხედრო-სტრატეგიულ მიზანს ემსახურება;

ლ) კიბერსაფრთხე - კიბერსივრცეში არსებული/წარმოქმნილი საფრთხე, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციული და კომუნიკაციების სისტემების კონფიდენციალურობის, ხელმისაწვდომობის და მთლიანობის დარღვევა;

მ) **კიბერკრიზისი** - ვითარება, რომლის დროსაც სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ინფორმაციული სისტემების, სერვისების ან საკომუნიკაციო ქსელების უსაფრთხოება კრიტიკული საფრთხის წინაშეა.

თავი III

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

მუხლი 7.

ბიუროს მიზანია, სამინისტროს სამოქალაქო ოფისის, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის (შემდეგში - გენერალური შტაბი) სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების სტაბილური, ეფექტური და უსაფრთხო სისტემების დანერგვა და განვითარება.

მუხლი 8.

კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია სამინისტროს ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების სისტემების დაგეგმვის, შექმნის, ექსპლუატაციის, მოდერნიზაციის და გაფართოების ეტაპებზე მიღებული საერთაშორისო სტანდარტების და ნორმების დაცვა. ახალი სისტემების და სერვისების დანერგვისას მათი წინასწარი ტესტირება და უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინება. ამ მიმართულებით ბიუროს ამოცანაა, გაუწიოს კონსულტაცია სამინისტროს კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებს, აღმოუჩინოს მხარდაჭერა ახალი სისტემების და სერვისების დანერგვაში. აქტიური მონაწილეობა მიიღოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში დაგეგმილი პროექტების განხილვასა და განხორციელებაში კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 9.

თავდაცვის სფეროში ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების უსაფრთხო სისტემების დანერგვა და განვითარება ემყარება კიბერსივრცეში საფრთხეებისა და რისკების

სწრაფ იდენტიფიცირებას, მათზე რეაგირებას, პრევენციული ზომების გატარებასა და საჭიროების შემთხვევაში, კრიზისების მართვას პროგნოზირებადი, პრევენციული, დაცვითი, აღდგენითი მექანიზმების საშუალებით. აღნიშნული ღონისძიებები ხორციელდება სტანდარტიზებულად კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფის მიერ, რომლის სამუშაო ციკლი შექმნილია მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით და მოიცავს ყველა იმ აუცილებელ ქმედებას, რომელიც ხელს შეუწყობს ინციდენტების დროულ იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრას. შესაბამისად, ბიუროს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების 24/7 მექანიზმების დახვეწა და განვითარება.

მუხლი 10.

წინამდებარე დოკუმენტში ორწლიანი გეგმით დასახული მიზნების შესასრულებლად და კონკრეტული ამოცანების წარმატებულად გადასაჭრელად ბიურო აქტიურად ითანამშრომლებს სამინისტროსთან და მის სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან და უზრუნველყოფს **2016-2017** წლების ბიუჯეტის სწორ ფოკუსირებას ბიუროს სტრატეგიულ მიმართულებებზე (ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, ცნობიერების ამაღლება, ლიცენზირებული პროგრამები და ა.შ.) ბიუჯეტის ეფექტურად აღსრულებასა და მონიტორინგს; საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვას; ლოგისტიკური უზრუნველყოფისათვის შესაბამისი მოთხოვნების სწორად განსაზღვრასა და საჭირო მექანიზმების განვითარებას; ლოგისტიკის საქმიანობის დაახლოვებას სამხედრო ლოგისტიკურ სტანდარტებთან; შესყიდვების სისტემის გაუმჯობესებას.

მუხლი 11.

1. წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული თითოეული ამოცანის შესასრულებლად უაღრესად მნიშვნელოვანია შემდგომი საკითხების უზრუნველყოფა:

ა) საკმარისი ფინანსური რესურსების მოძიება;

ბ) ახალი საფრთხეების და რისკების იდენტიფიცირება;

გ) კვალიფიციური კადრების მოზიდვა/შენარჩუნება, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პროფესიული განვითარების პროგრამებით უზრუნველყოფა;

დ) საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კიბერუსაფრთხოების სფეროში;

ე) საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო ნორმებთან კიბერუსაფრთხოების კუთხით;

ვ) სამთავრობო სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობა;

ზ) კრიტიკული სერვისების იდენტიფიკაცია, ნუსხის შემუშავება და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია.

2. აღნიშნული ამოცანების შესრულება უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობას, კიბერელემენტების სამხედრო ოპერაციებში ინტეგრაციას და მტკიცე და მყარი კიბერუსაფრთხოების სისტემის შექმნას. აღნიშნული განაპირობებს თავდაცვის სფეროს საიმედო, ეფექტურ, სტაბილურ და უსაფრთხო ფუნქციონირებას, რაც თავისთავად ქმნის ეროვნული უსაფრთხოების მყარ საფუძვლებს.

თავი IV

სტრატეგიული მიზნების განსახორციელებელი ამოცანები

მუხლი 12.

სტრატეგია და გარემო

ა) **ამოცანა 1** - „ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 7 აპრილის N26 ბრძანების შესაბამისად, კონცეპტუალური დოკუმენტების ბაზის ჩამოყალიბება, რომელიც პასუხობს გლობალური უსაფრთხოების ნორმებსა და მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებს;

ა.ა) **ღონისძიებები:**

ა.ა.ა) ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება, დანერგვა და იმპლემენტაცია. დოკუმენტში ასახული იქნება თავდაცვის სფეროში აღნიშნული სისტემის დანერგვის, ფუნქციონირებისა და მონიტორინგის საჭირო ფაზები, ორგანიზაციის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის მიზნები, ძირითადი მიმართულებები, პრინციპები და შედეგები;

ა.ა.ბ) თავდაცვის სისტემაში ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემების გავრცელების სფეროს განსაზღვრა და დოკუმენტურად წარმოდგენა ორგანიზაციის სტრუქტურის, საქმიანობის, აქტივებისა და ტექნოლოგიების ჭრილში;

ა.ა.გ) ბიუროში არსებული აქტივების (მატერიალური და არამატერიალური) გამოვლენის, აღწერის, კლასიფიცირების, შეცვლისა და განადგურების წესების შემუშავება და განხორციელება;

ა.ა.დ) რისკებთან მოპყრობის გეგმის შემუშავება, დანერგვა და განხორციელება. აღნიშნული გეგმა გულისხმობს ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვისთვის საჭირო ქმედებების, რესურსების, პასუხისმგებლობების, პრიორიტეტების, რისკების გავლენით გამოწვეული შედეგების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრას და ანალიზის განხორციელებას თავდაცვის სფეროში;

ა.ა.ე) საჭირო წესების, სტანდარტების, ნორმებისა და მიდგომების შემუშავება;

ა.ბ) შედეგი: ამოცანის წარმატებულად განხორციელება ხელს შეუწყობს ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების ეფექტურ მართვას, ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების უსაფრთხოების ინციდენტების სწრაფ იდენტიფიცირებას, მართვას, მონიტორინგს, ანალიზსა და პრევენციას, ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დაცვასა და განვითარებას;

ა.გ) ვადა: 2016 წ.;

ა.დ) მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულები/ორგანიზაციები: სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტი, სამინისტროს გენერალური ინსპექცია;

ბ) ამოცანა 2 - „ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 7 აპრილის N26 ბრძანების შესაბამისად, სამინისტროში ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭოს შექმნა.

ბ.ა) ღონისძიებები - სამინისტროში ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭოს შექმნის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება;

ბ.ბ) შედეგი: აღნიშნული ამოცანის წარმატებულად გადაჭრა ხელს შეუწყობს თავდაცვის სფეროში ინფორმაციული უსაფრთხოების ეფექტურ მართვას;

ბ.გ) ვადა: 2016 წ.;

გ.დ) მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულები/ორგანიზაციები: სამინისტროს ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო;

გ) ამოცანა 3 - საქართველოს თავდაცვის სფეროს კიბერსივრცეში პოტენციური და არსებული/წარმოქმნილი საფრთხეებისა და გამოწვევების კვლევისა და ანალიზის რეგულარული განხორციელება;

გ.ა) ღონისძიებები:

გ.ა.ა) ბიუროში ანალიტიკური მუშაობის ინტენსიფიკაცია;

გ.ა.ბ) კიბერსივრცეში არსებული/წარმოქმნილი საფრთხეების ანალიზი და რისკების კვლევა;

გ.ა.გ) ღია წყაროების გამოყენებით ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი, ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება არსებული/წარმოქმნილი საფრთხეებიის პრევენციის, რისკების მინიმიზაციის და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლების მიზნით;

გ.ა.დ) რეკომენდაციებისა და კვლევების საფუძველზე პრევენციული ზომების შემუშავება და გატარება;

გ.ბ) შედეგი: კიბერუსაფრთხოების სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით კიბერსივრცეში არსებული და მოსალოდნელი ვითარების, გამოწვევებისა და საფრთხეების ანალიზი, მათ შესახებ წინადადებების მომზადება, კიბერსაფრთხეების სტატისტიკის წარმოება, რისკების შეფასება, განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

გ.გ) ვადა*:* 2016-2017 წწ.;

გ.დ) მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულები/ორგანიზაციები: გენერალური შტაბის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი, გენერალური შტაბის J-6 კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტი, გენერალური შტაბის J-2 დაზვერვის დეპარტამენტი, სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი.

მუხლი 13.

ოპერაციული მოთხოვნები

ა) **ამოცანა 4** - ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 7 აპრილის N26 ბრძანების შესაბამისად, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის მონიტორინგი და ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირება;

ა.ა) **ღონისძიებები:**

ა.ა.ა) პროცედურებისა და კონტროლის მექანიზმების დანერგვა, მონიტორინგის წარმოება, მონიტორინგის შედეგების გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებისათვის აუცილებელი გზების განსაზღვრა, ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების ფუნქციონირების ეფექტურობის პერიოდული შემოწმება, რისკების შეფასების გადახედვა;

ა.ა.ბ) ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემების აუდიტი და პერიოდული მიმოხილვა;

ა.ბ) შედეგი: აღნიშნული ამოცანის შესრულება ხელს შეუწყობს ბიუროს, სწორად განსაზღვროს ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების ფუნქციონირებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები, მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით დასახოს ინფორმაციული უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელებისთვის აუცილებელი გეგმები და შეიმუშაოს მართვის სისტემების გაუმჯობესების ეფექტური გზები;

ა.გ) ვადა: 2016-2017 წწ.;

ა.დ) მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულები/ორგანიზაციები: სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, სამინისტროს გენერალური ინსპექცია, გენერალური შტაბის J-6 კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტი.

ბ) ამოცანა 5 - თავდაცვის სფეროსა და მასში შემავალი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ინფრასტრუქტურის დაცვის გაძლიერება და გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარებისა და გაძლიერების ადეკვატურად ბიუროსთვის დამატებითი ტექნიკური შესაძლებლობების შექმნა, უსაფრთხოების კონტროლის დამატებითი მექანიზმების დანერგვა, ამოქმედება და განვითარება, რაც განაპირობებს ბიუროს მატერიალურ-ტექნიკურ და ადამიანური რესურსების ზრდის მოთხოვნილებას, უსაფრთხოების წესების, სტანდარტების, ნორმების განსაზღვრასა და შემუშავებას;

ბ.ა) ღონისძიებები:

ბ.ა.ა) თავდაცვის სისტემაში არსებული ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლა, ინფორმაციული უსაფრთხოების პერიოდული აუდიტის განხორციელება: სამინისტროს ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების სისტემების უსაფრთხოების ხარისხისა და შეღწევადობის შესწავლა-შეფასება, რაც გულისხმობს ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემაში გათვალისწინებული ან/და გაუთვალისწინებელი სისუსტეებისა და ხარვეზების გამოვლენასა და განსაზღვრას; ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების ხარისხის გაზრდისა და მოდერნიზაციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება მიღებული ინფორმაციის საფუძველზე; ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული სისტემების განვითარების მოკლე და გრძელვადიანი გეგმების დასახვა კიბერუსაფრთხოების განხრით;

ბ.ა.ბ) ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების სფეროში არსებული მსოფლიო გამოწვევების შესაბამისად თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვის უზრუნველყოფაში ხელშეწყობა და საერთაშორისო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობის მიღება;ბ.ა.გ) კიბერუსაფრთხოების სისტემის ინტეგრაცია სამხედრო სფეროსთან. კიბერუსაფრთხოების სფეროში არსებული საფრთხეების დასაძლევად მუდმივი მზადყოფნის მიზნით კრიზისული სიტუაციებისათვის სამოქმედო გეგმის შემუშავება, კიბერსივრცეში პოტენციური ინციდენტებისა და მათზე რეაგირებისათვის საჭირო ქმედებების სიმულაციების დოკუმენტურად შემუშავება და შემდგომში რეგულარული განხორციელება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია:

- აქტიური მონაწილეობის მიღება სამინისტროს მიერ ყოველწლიურად განხორციელებულ შესაბამის სამხედრო წვრთნებში;
- ბიუროს მიერ კიბერწვრთნების ორგანიზება და ჩატარება, რაც, როგორც ტექნიკურ, ასევე ოპერატიულ ასპექტებსა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებს მოიცავს;
- საერთაშორისო ტექნიკურ სავარჯიშოებსა და კიბერწვრთნებში მონაწილეობის მიღება;
- ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად წარმოქმნილი ახალი კიბერრისკებისა და კიბერსაფრთხეების შესწავლა, შეფასება, ანალიზი;
- ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად ბიუროს საჭიროებების განსაზღვრა;

ბ.ბ) შედეგი: ოცდამეერთე საუკუნეში დამკვიდრებული ცნების „ჰიბრიდული ომის“ აუცილებელი ატრიბუტია ოპერაციები კიბერსივრცეში. სამხედრო წვრთნებში კიბერუსაფრთხოების კომპონენტის შეტანა აამაღლებს როგორც ბიუროს, ასევე სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მზადყოფნის დონეს კიბერსივრცეში არსებული საფრთხეების წინაშე, შექმნის კიბერკრიზისების მართვის გაუმჯობესებისათვის აუცილებელ მექანიზმებს, ხელს შეუწყობს უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაღრმავებას, ბიუროსა და

სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს შორის მომავალში შეთანხმებულ მოქმედებას. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფენ თავდაცვის სფეროსა და მასში შემავალი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ინფრასტრუქტურის ეფექტურ დაცვას, გაძლიერებასა და გამართულად ფუნქციონირებას. აღნიშნული ამოცანის წარმატებულად შესრულებით გაძლიერდება თავდაცვის სფეროსა და მასში შემავალი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ინფრასტრუქტურის დაცვა და უზრუნველყოფილი იქნება მისი გამართულად ფუნქციონირება;

ბ.გ) ვადა: 2016-2017 წწ.;

ბ.დ) მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულები/ორგანიზაციები: გენერალური შტაბის J-6 კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტი, გენერალური შტაბის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი, გენერალური შტაბის J-3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტი, გენერალური შტაბის J-4/8 ლოგისტიკისა და რესურსების დაგეგმვის დეპარტამენტი, გენერალური შტაბის J-2 დაზვერვის დეპარტამენტი, გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა, გენერალური შტაბის ეროვნული გვარდია, სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი;

გ) ამოცანა 6 - ბიუროში საკადრო პოლიტიკის გატარება და ეფექტური მეთოდების შემუშავება; პერსონალის პროფესიული განვითარება, მათი კომპეტენციის ამაღლება და კვალიფიციური კადრების შენარჩუნება;

გ.ა) ღონისძიებები:

გ.ა.ა) ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების მიზნით კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავება:

გ.ა.ბ) ბიუროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების კონცეფციის შემუშავება და დამტკიცება;

გ.ა.გ) ბიუროს პერსონალის მართვის სისტემის განვითარების 2016-2017 წლების სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება;

გ.ა.დ) ბიუროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება;

გ.ა.ე) პროფესიული განვითარების პროგრამების დაგეგმვის, მონაწილეთა შერჩევისა და მათი ეფექტიანობის შეფასების რეგულაციის სრულყოფის მიზნით შემდეგი ღონისძიების

განხორციელებაა პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამების დაგეგმვისა და პროგრამებისათვის კანდიდატთა შერჩევის საბჭოს შექმნა;

გ.ა.ვ) ბიუროს კვალიფიციური ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის და შემდგომში მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემების ჩამოყალიბების, ასევე კარიერის დაგეგმვისა და მართვის მიზნით შემდეგი ღონისძიებების გატარება:
- ერთიანი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება;
- თანამდებობრივი კომპეტენციების ნუსხის შემუშავება;
- სამუშაოთა კლასიფიკაციის სისტემის შემუშავება;
- სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვისა და შეფასების სისტემის შემუშავება;

გ.ა.ზ) პერსონალის ცოდნის, გამოცდილების, უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის განსაზღვრის მიზნით, ფაქტობრივი და შედარებითი ანალიზის შემუშავება (GAP Analysis);

გ.ა.თ) სერთიფიცირებული ტრეინინგების, ბიუროს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული პროექტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა, რაც საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. საკადრო რესურსის უწყვეტი პროფესიული ზრდისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ბიუროს პერსონალის ჩართვა მსოფლიოში აპრობირებულ და სერთიფიცირებულ ისეთ ტრეინინგებსა და პროგრამებში, რომლებიც პასუხობენ კიბერუსაფრთხოების სფეროში არსებულ მოთხოვნებს, ბიუროს თანამშრომლებისთვის უზრუნველყოფენ თანამედროვე მიდგომებსა და ტექნოლოგიებს;

გ.ა.ი) ბიუროს ორგანიზაციული განვითარებისა და გაძლიერებისათვის პრიორიტეტულ მიმართულებების განსაზღვრა, რასაც წარმოადგენს კიბერთავდაცვითი წვრთნები, ინციდენტების მართვა, კვლევა, ანალიზი და გამოძიება; ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების მართვა, აუდიტი და მონიტორინგი, პრევენციის მეთოდები, და ა.შ.;

გ.ა.კ) არსებული კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა, ადმინისტრაციული პროცედურების, საერთაშორისო ურთიერთობების, სახელმწიფო შესყიდვების უზრუნველყოფა, საქმიანი დოკუმენტების მომზადება და აღრიცხვიანობა, ლოგისტიკური უზრუნველყოფისა და ფინანსური რესურსების მენეჯმენტი და ა. შ.;

გ.ა.ლ) საერთაშორისო და ადგილობრივ კიბერწვრთნებში, ტექნიკურ სავარჯიშოებში, სემინარებში, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის მიღებაში ხელშეწყობა კიბერუსაფრთხოების სფეროში;

გ.ა.მ) მდგრადი საკადრო პოლიტიკის დანერგვისათვის აუცილებელი მექანიზმების შემუშავება და გატარება, კერძოდ, ორგანიზაციული კულტურის შექმნა, რაც ბიუროს პერსონალს საკუთარი

ცოდნის, შესაძლებლობების უკეთ გამოყენებისა და გამოვლენის საშუალებას მისცემს; შეუქმნის სათანადო სამუშაო პირობებსა და გარემოს; მინიმუმამდე დაიყვანს კვალიფიციური პერსონალის გადინების პროცესს; საჭიროების შემთხვევაში, ბიუროს ძირითად დანაყოფებში სამხედრო კომპონენტის ჩართვა, კიბერშესაძლებლობების ინტეგრირება სამხედრო ძალებთან და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

გ.ა.ნ) კიბერუსაფრთხოების სფეროში ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინოვაციების დანერგვაში ხელშეწყობა, ასევე სხვადასხვა ინტელექტუალური პროდუქტის შექმნა. კიბერუსაფრთხოების სფეროში ტერმინოლოგიის განსაზღვრა სხვადასხვა დოკუმენტის შინაარსის სწორად აღქმის, ინტერპრეტაციისა და ზოგადად, ნებისმიერი კომუნიკაციური უზუსტობის თავიდან აცილების მიზნით;

გ.ა.ო) სამინისტროს სისტემაში არსებულ საგანმანათლებლო სივრცეში კიბერუსაფრთხოების კურსის დანერგვა და სასწავლო პროგრამების შემუშავებაში ხელშეწყობა;

გ.ა.პ) 2016 წელს ნატოს კიბერწვრთნებში მონაწილეობის მიღების მიზნით, სამხედრო კონტინგენტის მომზადება;

გ.ბ) შედეგი: ადამიანური რესურსების სწორად მართვა და განვითარება ხელს შეუწყობს თავდაცვის სისტემაში კიბერუსაფრთხოების მიმართულებით დასახული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ეფექტურად შესრულებას. ბიუროს საგანმანათლებლო პოლიტიკა ორიენტირებულია მსოფლიოში წამყვანი ინსტიტუციების სერთიფიცირებულ პროგრამებზე (ნატოს კოოპერაციული კიბერთავდაცვის სასწავლო ცენტრები, SANS, ISACA, ENISA, FIRST და ა. შ);

გ.გ) ვადა: 2016-2017 წწ.;

გ.დ) მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულები/ორგანიზაციები: სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტი, სამინისტროს ადმინისტრაციის ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის უსაფრთხოების სამსახური, სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი, სამინისტროს ადმინისტრაციის მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველო, სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივ საკითხთა დეპარტამენტი, გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა, სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესიული განვითარების ცენტრი (PDC), აშშ-ს თავდაცვის გამოყენებითი ჯგუფი (CUBIC), საქართველოს

წარმომადგენლობა ნატოში, საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისი (NLO), ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამა (PDP);

დ) ამოცანა 7 - ბიუროს მიერ კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირების 24/7 მექანიზმების დანერგვა, ამოქმედება და განვითარება;

დ.ა) ღონისძიებები:

დ.ა.ა) კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფის (CERT) ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების მაღალკვალიფიციური და მოტივირებული სპეციალისტებით დაკომპლექტება;

დ.ა.ბ) კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების 24/7 ჯგუფების შესაძლებლობების მუდმივი განვითარება და მათთვის სტანდარტული საოპერაციო პროცედურების თანახმად შესაბამისი ინსტრუქციებისა და პროცედურების შემუშავება;

დ.ა.გ) კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობის მიზნით ბიუროს პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო სერთიფიცირების პროგრამებში. აღნიშნული ინიციატივა მოიცავს საინფორმაციო სისტემების აუდიტორის, ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის, საინფორმაციო სისტემების რისკებისა და კონტროლის მართვისა და სხვა სერთიფიცირების პროგრამებს. აღნიშნული სერთიფიცირება ხელს შეუწყობს ბიუროში დასაქმებულ პირებს, მოიპოვონ მსოფლიოში აღიარებული ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის სერთიფიკატები, რაც ბიუროს აუდიტორული საქმიანობის შესაძლებლობებს შეუქმნის;

დ.ა.დ) ნატოსა და ევროკავშირის ქვეყნების კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება და განვითარება;

დ.ა.ე) კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფების საერთაშორისო გაერთიანებებსა და ფორუმებში გაწევრიანება;

დ.ა.ვ) საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის მიღება;

დ.ა.ზ) სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან ერთად სხვადასხვა აქტივობისა და ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება კიბერუსაფრთხოების სფეროში;

დ.ბ) შედეგი: აღნიშნული ღონისძიებების გატარებით კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფებს ექნებათ გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, თანამედროვე მიდგომების, მეთოდების გაცნობისა და მათი ადგილობრივ დონეზე დანერგვის

შესაძლებლობა, უსაფრთხოების წესების, სტანდარტების, პროცედურებისა და სტრატეგიების ერთობლივად შემუშავებისა და განვითარების საშუალება, რაც უზრუნველყოფს სამინისტროს ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დაცვას, საფრთხეებისა და რისკების სწრაფ იდენტიფიცირებას, მათზე რეაგირებას, პრევენციული ზომების გატარებას და საჭიროების შემთხვევაში, კრიზისების მართვას პროგნოზირებადი, პრევენციული, დაცვითი, აღდგენითი მექანიზმების საშუალებით;

დ.გ) ვადა: 2016 წ.;

დ.დ) მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულები - გენერალური შტაბის J-6 კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტი, სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტი, სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი, სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და სამინისტროს წარმომადგენლების ოფისი, სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესიული განვითარების ცენტრი (PDC), საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისი (NLO);

ე) ამოცანა 8 - გენერალური შტაბის ეროვნულ გვარდიასთან ერთად მოხალისეთა კავშირი - კიბერრაზმის ჩამოყალიბება და კიბერრეზერვისტთა მომზადება. აღნიშნული ამოცანის მიზანია კიბერშესაძლებლობების განვითარებისა და გაძლიერების ხელშეწყობა, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის საერთო თავდაცვისუნარიანობას აამაღლებს;

ე.ა) ღონისძიებები:

ე.ა.ა) სამართლებრივი ბაზის შექმნა, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდება მოხალისეთა კავშირი - კიბერრაზმი;

ე.ა.ბ) გასაწვევი კონტინგენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა;

ე.ა.გ) კიბერრეზერვისტთა მონაცემთა ბაზის შექმნა;

ე.ა.დ) სასწავლო პროგრამის შემუშავება;

ე.ა.ე) ინსტრუქტორების შერჩევა;

ე.ა.ვ) გაწვევის პერიოდის განსაზღვრა;

ე.ა.ზ) კიბერრეზერვის მომზადება;

ე.ბ) შედეგი: მოხალისეთა კავშირი - კიბერრაზმი დაეხმარება კიბერუსაფრთხოების სფეროში მოქმედ აქტორებს, უზრუნველყონ კიბერსივრცის ეფექტური დაცვა. მოხალისეთა კავშირი - კიბერრაზმის მიზანია თავისუფალ ნებაზე და ინიციატივებზე დაყრდნობით განავითაროს და

გააძლიეროს ქვეყნის კიბერშესაძლებლობები, რაც მოიცავს შემდეგი ქმედებების განხორციელებას:

ე.ბ.ა) საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დაცვის კუთხით;
ე.ბ.ბ) მუდმივ რეჟიმში მექანიზმების შემუშავების ინიცირება, რაც უზრუნველყოფს კიბერსაფრთხეებისა და კიბერრისკების წინაშე მდგრადობის გაძლიერებასა და შენარჩუნებას;

ე.ბ.გ) გაერთიანების ფოკუსირება მშვიდობიან და კრიზისულ სიტუაციებში სამოქმედო მხარდამჭერი შესაძლებლობების განსაზღვრაზე სამოქალაქო სექტორის დახმარების მიზნით;

ე.ბ.დ) საომარი, კრიზისული ან/და საგანგებო მდგომარეობის დროს ან ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე შესაბამისი ამოცანების შესრულება;

ე.ბ.ე) ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება კიბერუსაფრთხოების სფეროში;

ე.ბ.ვ) საჯარო და კერძო სექტორში ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით მოღვაწე სპეციალისტების გაერთიანება. ამ ტიპის საზოგადოება უზრუნველყოფს ეროვნული თავდაცვის პრობლემების კერძო ორგანიზაციების ინტერესებთან გაერთიანების დამატებით შესაძლებლობებს, ასევე დახმარებას კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვაში და მშვიდობიან და კრიზისულ სიტუაციებში მომსახურებას;

ე.ბ.ზ) მოხალისეთა კავშირი - კიბერრაზმის ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტებისთვის სამხედრო წვრთნების ორგანიზება და ზედამხედველობა; საჭირო ტრეინინგების, კურსებისა და პრაქტიკული გარემოს უზრუნველყოფა. მიღებული გამოცდილებითა და ცოდნით ისინი დამატებით პროფესიულ უნარ-ჩვევებს შეიძენენ;

ე.გ) ვადა*:* 2016-2017 წწ.;

ე.დ) მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულები/ორგანიზაციები: სამინისტრო, გენერალური შტაბის ეროვნული გვარდია, გენერალური შტაბის J-3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო.

მუხლი 14.

ცნობიერების ამაღლება, განათლება და თანამშრომლობა;

ა) **ამოცანა 9** - ,,კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 4 ნოემბრის N MOD 7 14 00001575 ბრძანების შესაბამისად, მჭიდრო ინსტიტუციური კოორდინაცია კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით; კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ასპექტია საერთო მხარდაჭერა - უწყებათაშორისი თანამშრომლობა და აქტიური კოორდინაცია სახელმწიფო უწყებებთან, ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროს კერძო კომპანიებთან, ინტერნეტ-სერვის პროვაიდერებთან, IT სფეროთი დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, სახელმწიფო უწყებას, როგორც წესი, არ შეუძლია საკუთარი ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების სისტემების დაცვა დამოუკიდებლად;

ა.ა) **ღონისძიებები:**

ა.ა.ა) მჭიდრო თანამშრომლობა სამთავრობო უწყებებთან ხელს შეუწყობს თანამედროვე და განვითარებადი საფრთხეების, ინციდენტებისა და მათი პრევენციის საშუალებების შესახებ ინფორმაციის დროულ გაცვლას, გამოცდილების გაზიარებასა და კოორდინირებულ მუშაობას კიბერუსაფრთხოების სფეროში;

ა.ა.ბ) აქტიური თანამშრომლობა კიბერუსაფრთხოების სფეროთი დაინტერესებულ არასამთავრობო სექტორთან, რომლის ფარგლებშიც გაიმართება სამუშაო შეხვედრები, კონსულტაციები კონცეპტუალური დოკუმენტების, კიბერსივრცეში თანამედროვე გამოწვევებისა და კიბერუსაფრთხოების სფეროში სხვადასხვა აქტუალური საკითხის განხილვისა და ამ სფეროში რეკომენდაციების შემუშავების/წარმოდგენის მიზნით. არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა კიბერუსაფრთხოების სფეროში ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობის ამაღლებას;

ა.ა.გ) საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის პლატფორმის შექმნა (PPP-Public Private Partnership) და განვითარება ხელს შეუწყობს კიბერშესაძლებლობების გაძლიერებას, ნდობის ამაღლებას, კიბერუსაფრთხოების მიმართულებით მუდმივ რეჟიმში ინფორმაციის გაცვლას;

ა.ბ) შედეგი: აღნიშნული ამოცანის განხორციელება ხელს შეუწყობს კოორდინირებული ინსტიტუციური რგოლის შექმნას კიბერუსაფრთხოების სფეროში, რაც, თავის მხრივ ქვეყნის კიბერთავდაცვითი მექანიზმების გაძლიერებას ითვალისწინებს;

ა.გ) **ვადა:** 2016-2017 წწ.;

ა.დ) **მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულები/ორგანიზაციები:** სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტი, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესიული განვითარების ცენტრი (PDC), სამინისტროს ადმინისტრაციის მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველო, სამინისტროს ადმინისტრაციის პროტოკოლის სამსახური;

ბ) **ამოცანა 10** - ეროვნული კონცეპტუალური დოკუმენტების (მათ შორის საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი), ასევე სხვა, როგორც ეროვნული, ისე უწყებრივი დოკუმენტების შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღება კომპეტენციის ფარგლებში;

ბ.ა) **ღონისძიებები** - სამხედრო სფეროში კიბერსაფრთხეებისა და კიბერრისკების იდენტიფიცირება, კლასიფიცირება, მათზე რეაგირებისა და შესაძლო სცენარების, მოვლენების განვითარებისა და სავარაუდო ანალიზის შედეგების შემუშავება;

ბ.ბ) **შედეგი:** აღნიშნული ქმედებები ხელს შეუწყობს საქართველოს თავდაცვის სფეროში არსებული კიბერგამოწვევების დაძლევასა და კიბერსაფრთხეების პრევენციას, სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას;

ბ.გ) **ვადა**: 2016-2017 წწ.;

ბ.დ) **მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულები/ორგანიზაციები:** გენერალური შტაბის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი, გენერალური შტაბის J-6 კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტი, გენერალური შტაბის J-2 დაზვერვის დეპარტამენტი, სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი;

გ) **ამოცანა 11** - „ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 7 აპრილის N26 ბრძანებისა და „კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 4 ნოემბრის N MOD 7 14 00001575 ბრძანების თანახმად, კიბერუსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლება. კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი სტრატეგიული ნაწილი „კიბერუსაფრთხოების კულტურის” (Cyber Security Culture) დანერგვა და განვითარებაა, რაც გულისხმობს ცნობიერების ამაღლებას კიბერუსაფრთხოების სფეროში. კიბერუსაფრთხოება, არა მარტო რიგითი მოქალაქეებისთვის, არამედ აკადემიური წრეებისთვისაც შედარებით ახალი ტერმინია მსოფლიოში. კიბერუსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლება ხელს შეუწყობს საზოგადოებას, უკეთ

აღიქვას კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა, მისი როლი და გააცნობიეროს კიბერშეტევებით გამოწვეული შესაძლო შედეგები;

გ.ა) ღონისძიებები - კიბერუსაფრთხოების საინფორმაციო დღეების, სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზება, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მათი რეგულარული განხორციელება სამინისტროს სამოქალაქო ოფისის, საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების, სამინისტროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლებისათვის, საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, სპეციალური სამიზნე ჯგუფებისათვის;

გ.ბ) შედეგი: აღნიშნული ღონისძიებების რეგულარულად განხორციელება ხელს შეუწყობს თითოეულ მომხმარებელს, თავიდან აიცილოს მინიმალური რისკები, გაეცნოს განახლებულ ინფორმაციას კომპიუტერულ, მობილურ, სხვადასხვა კომუნიკაციურ მოწყობილობაზე, ისწავლოს ელექტრონული ფოსტის უსაფრთხოდ გამოყენება და ა. შ., მიიღოს ინფორმაცია იმ საჭირო მექანიზმების შესახებ, რაც დაეხმარება მათ უსაფრთხოდ ფუნქციონირებაში. კიბერუსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლება შექმნის ბიუროსა და სხვადასხვა უწყებას შორის მჭიდრო და კოორდინირებული თანამშრომლობის მყარ საფუძვლებს;

გ.გ) ვადები*:* 2016-2017 წწ.;

გ.დ) მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულები/ორგანიზაციები: სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტი, სამინისტროს ადმინისტრაციის მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველო, სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი, გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა, გენერალური შტაბის J-6 კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტი, სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესიული განვითარების ცენტრი (PDC), საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისი (NLO), ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამა (PDP);

დ) ამოცანა 12 - ,,კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 4 ნოემბრის N MOD 7 14 00001575 ბრძანების თანახმად, საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა საქართველოს თავდაცვის სფეროში;

დ.ა) ღონისძიებები:

დ.ა.ა) ადგილობრივი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა;

დ.ა.ბ) ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავება;

დ.ა.გ) სპეციალიზებული კანონმდებლობის ფორმირება სამართლებრივი რეგულაციების, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საშუალებით კიბერუსაფრთხოების სფეროში;

დ.ა.დ) კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აქტივების გამოვლენის, აღწერის, კლასიფიცირების, შეცვლისა და განადგურების წესების შემუშავება და გამოცემა;

დ.ა.ე) ,,სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფის შესახებ'' საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის წლის 7 აპრილის N27 ბრძანებით შექმნილი დახმარების ჯგუფის საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, მისთვის სამართლებრივი მხარდაჭერის აღმოჩენა, კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დოკუმენტაციის მომზადება და სამართლებრივი კონსულტირება;

დ.ა.ვ) ბიუროში 24/7 პრინციპით კიბერსამართლებრივი კონსულტაციების გაწევის დანერგვა;

დ.ა.ზ) ,,კიბერდანაშაულის შესახებ“ 2001 წლის ევროპის საბჭოს კონვენციის 35-ე მუხლის შესრულება - 24/7 ცხელი ხაზის შექმნა და ამოქმედება თავდაცვის სფეროს კიბერუსაფრთხოების მიმართულებით;

დ.ბ) შედეგი: საკანონმდებლო ბაზის დახვეწა კიბერუსაფრთხოების სფეროში ხელს შეუწყობს სამინისტროს კიბერუსაფრთხოების სისტემის სრულფასოვნად ჩამოყალიბებას, კიბერუსაფრთხოების დაცვის ქმედითი და ეფექტური მექანიზმების შექმნას, სამართლებრივი ჩარჩოების განვითარებას და გაძლიერებას, კიბერუსაფრთხოების სფეროში ქვეყნების ერთობლივად მუშაობას გარკვეული მიზნების მისაღწევად და გადაწყვეტილებების მისაღებად;

დ.გ) ვადა: 2016-2017 წწ.;

დ.დ) მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულები/ორგანიზაციები: სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივ საკითხთა დეპარტამენტი, სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტი, სამინისტროს ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო;

ე) ამოცანა 13 - კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება და განმტკიცება;

ე.ა) ღონისძიებები:

ე.ა.ა) კიბერუსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო მექანიზმების ამოქმედება, ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების დამყარება და განვითარება NATO-სა და ევროკავშირის ქვეყნების კიბერდანაყოფებთან;

ე.ა.ბ) ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) კიბერუსაფრთხოების დირექტორატთან (Directorate K) და ასევე, ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან ურთიერთობების დამყარება და განვითარება; კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის მიდგომებისა და გამოცდილების გაზიარება;

ე.ა.გ) თანამშრომლობის ჩამოყალიბება და განმტკიცება საერთაშორისო ორგანიზაციების კიბერუსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებულ ქვესტრუქტურებთან და მათი ეგიდით ორგანიზებულ საგანმანათლებლო პროგრამებში, ტრეინინგებში, კიბერწვრთნებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღება (EU-ENISA, NATO-CCD COE, OSCE, SEDM ა. შ.);

ე.ა.დ) სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში, ქვეყნის უმთავრეს სტრატეგიულ პარტნიორთან ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის გაღრმავება კიბერუსაფრთხოების მიმართულებით;

ე.ა.ე) ესტონეთთან, როგორც კიბერუსაფრთხოების სფეროში ერთ-ერთ წამყვან ქვეყანასთან, თანამშრომლობის გაღრმავება კიბერუსაფრთხოების მიმართულებით;

ე.ა.ვ) ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფორმატში ყოველწლიური ეროვნული პროგრამისა (ANP) და დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის (PARP) ფარგლებში აღებული ვალდებულებების დროულად და ეფექტურად შესრულება;

ე.ა.ზ) ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) ფარგლებში კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარება ნატოს შესაბამის სტრუქტურებთან და წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობით;

ე.ა.თ) მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნებისა და საზღვარგარეთ საქართველოს თავდაცვის ატაშეებთან კიბერუსაფრთხოების მიმართულებით;

ე.ა.ი) კიბერუსაფრთხოების სფეროში რეგიონული თანამშრომლობის ფორმატის შექმნა და განვითარება;

